ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2018-2021 წლებისათვის

შესავალი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2018 წლისთვის, ისევე როგორც 2016-2017 წლებში შემუშავდა 2018–2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა,
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

თავი I

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის

შესრულების მაჩვენებლები

2016 წელს ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 39 967,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 97 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 14 451,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 107 პროცენტია, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 3 191,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 500,0 ათ. ლარი) 58 პროცენტია.
- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 6 345,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 950,0 ათ. ლარი) 107 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით შემოსულია 25,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 122,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50,0 ათ. ლარი) 246 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 23,5 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 4 743,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 000,0 ათ. ლარი) 237 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 19 373,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 97 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 124,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 26 პროცენტია.
- გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 11 093,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 093,8 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 500.0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500.0 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 7 655,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 891,0 ათ. ლარი) 97 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 870,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 116,0 ათ. ლარი) 95 პროცენტია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. სხვა შემოსავლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	**5 116,0**	**4 870,1**	**95**
შემოსავლები საკუთრებიდან	**835,0**	**971,2**	**116**
პროცენტები	**600,0**	**717,0**	**120**
დივიდენდები	**35,0**	**9,8**	**28**
რენტა	**200,0**	**244,3**	**122**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	120,0	176,0	147
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	80,0	68,4	85
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**2 881,0**	**2 698,4**	**94**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**2 851,0**	**2 647,6**	**93**
სანებართვო მოსაკრებელი	100,0	59,5	60
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0	2,4	240
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 350,0	1 722,3	128
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1 400,0	863,4	62
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**30,0**	**50,8**	**169**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	30,0	50,8	169
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**1 000,0**	**928,4**	**93**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**400,0**	**272,2**	**68**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 1 272,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 500,0 ათ. ლარი) 51 პროცენტია, სადაც უმეტესი წილი მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 12,929.8 ათ. ლარი;***
- ***საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 10,889.1 ათ. ლარი;***
- ***ეკონომიკური საქმიანობა – 5,471.3 ათ. ლარი;***
- ***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3,615.0 ათ. ლარი;***
- ***გარემოს დაცვა – 2,914.8 ათ. ლარი;***
- ***თავდაცვა – 261.1 ათ. ლარი.***

➢ 2016 წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წლიურმა ხარჯმა შეადგინა 4,616.7 ათ. ლარი.

➢ განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (348.1 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 200–მდე ბენეფიციარი.

➢ სპორტისა და კულტური სფეროში დაფინანსდა სასპორტო და სახელოვნებო გაერთიანებები და მათ მიერ გამართული სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები რაზეც მთლიანობაში გახარჯულ იქნა 6,999.4 ათ. ლარი.

➢ ჩატარდა გზების სარემონტო სამუშაოები, რომელთა მოცულობამ შეადგინა 122.3 ათ. მ2 მიერთებებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის ჩათვლით. შესრულებულ იქნა 7,610.7 ათ. ლარის სამუშაო.

➢ განხორციელდა შენობების სახურავების გადახურვა საერთო ფართით 14.4 ათ. მ^2, რომლის შესრულებული სამუშაოების ფაქტიური ღირებულება - 245.1 ათ. ლარი იყო.

➢ 2016 წლის განმავლობაში დაგეგმილ იქნა სხვადასხვა სახის სარემონტო და მომსახურების ტიპის სამუშაოები, რომელთა განხორციელებისათვის დაიხარჯა 4,453.3 ათ. ლარი.

➢ დაფინანსდა რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯები; მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებზეც მთლიანობაში დაიხარჯა 3,383.7 ათ. ლარი.

➢ ქალაქის დასუფთავებაზე, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან, შეძენილ იქნა ახალი სანაგვე ურნები და საერთო ჯამში ბიუჯეტიდან დაიხარჯა 2,843.5 ათ. ლარი.

თავი II

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები

2017 წლის იანვარ-სექტემბერში ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 26 285,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 66 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 9 919,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 85 პროცენტია, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 091,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 700,0 ათ. ლარი) 57 პროცენტია.
- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 6 799,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 700,0 ათ. ლარი) 88 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით შემოსულია 28,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 12,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50.0 ათ. ლარი) 24 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია -0,3 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 989,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 450,0 ათ. ლარი) 40 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 10 701,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 56 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 81,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (636,7 ათ. ლარი) 13 პროცენტია.
- გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 8 020,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 693,8 ათ. ლარი) 75 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 374,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500.0 ათ. ლარი) 75 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 2 224,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 335,7 ათ. ლარი) 30 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 555,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 425,0 ათ. ლარი) 103 პროცენტია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. სხვა შემოსავლები

ათასი ლარი

დასახელება	**გეგმა**	**ფაქტი**	**%**
სხვა შემოსავლები	**4 425,0**	**4 555,4**	**103**
შემოსავლები საკუთრებიდან	**655,0**	**516,5**	**79**
პროცენტები	**500,0**	**194,9**	**39**
დივიდენდები	**15,0**	**20,0**	**133**
რენტა	**140,0**	**301,6**	**215**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	80,0	257,5	322
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	60,0	44,1	74
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**2 320,0**	**2 867,0**	**123**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**2 300,0**	**2 820,7**	**123**
სანებართვო მოსაკრებელი	100,0	57,0	57
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	1,2	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 300,0	2 112,6	163
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,0	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	900,0	649,8	72
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**20,0**	**46,3**	**232**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20,0	46,3	232
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**1 100,0**	**844,1**	**77**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**350,0**	**327,8**	**94**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 1 109,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,500.0 ათ. ლარი) 44 პროცენტია, სადაც უმეტესი წილი მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

2017 წლის 9 თვისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 9 114,6 ათ. ლარი;***
- ***საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 5 321,6 ათ. ლარი;***
- ***ეკონომიკური საქმიანობა – 3 252,2 ათ. ლარი;***
- ***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 2 203,8 ათ. ლარი;***

- *გარემოს დაცვა – 1 965,8 ათ. ლარი;*
- *თავდაცვა – 163,7 ათ. ლარი.*

➢ 2017 წლის ოქტომბრამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 631,5 ათ. ლარი.

➢ განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (258.6 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220–მდე ბენეფიციარი.

➢ სპორტისა და კულტური სფეროში დაფინანსდა სასპორტო და სახელოვნებო გაერთიანებები და მათ მიერ გამართული სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები, ასევე სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაზეც მთლიანობაში გახარჯულია 4 348,9 ათ. ლარი.

➢ 2017 წლის 9 თვის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწერსიგებლად რეაბილიტირებულია 3,586.3 ათ. ლარის ღირებულების გზა.

➢ 2016 წლის 9 თვის განმავლობაში დაფინანსდა სხვადასხვა სახის სამშენებლო, სარემონტო და მომსახურების ტიპის სამუშაოები, რომელთა განხორციელებისათვის დაიხარჯა 2,743.7 ათ. ლარი.

➢ მიმდინარეობს რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა რისთვისაც 9 თვის ხარჯი შეადგენს 2,027.7 ათ. ლარს.

➢ ქალაქის დასუფთავეისათვის, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან, ქალაქის ბიუჯეტიდან მოხმარებულია 1,948.9 ათ. ლარი.

თავი III

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2016-2021 წლებში

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**2016 წლის ფაქტი**	**2017 წლის გეგმა**	**2018 წლის პროექტი**	**2019 წლის გეგმა**	**2020 წლის გეგმა**	**2021 წლის გეგმა**
შემოსავლები	**38 695,1**	**38 300,0**	**34 784,6**	**44 863,3**	**48 691,9**	**49 732,9**
გადასახადები	14 451,4	13 900,0	13 600,0	13 550,0	14 250,0	15 050,0
გრანტები	19 373,6	19 166,1	15 840,0	24 573,3	27 491,9	27 262,9
სხვა შემოსავლები	4 870,1	5 233,9	5 344,6	6 740,0	6 950,0	7 420,0
ხარჯები	**32 138,7**	**31 813,1**	**31 221,0**	**34 853,7**	**34 947,3**	**34 868,6**

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	4 134,1	3 606,5	3 776,4	3 894,0	4 248,0	4 566,0
საქონელი და მომსახურება	2 763,3	3 797,7	3 198,2	3 618,1	3 741,6	3 864,0
პროცენტი	377,6	294,5	320,0	107,3	33,9	6,9
სუბსიდიები	17 303,5	17 916,4	18 717,0	19 333,0	19 244,0	19 421,0
გრანტები	495,2	3,8	4,0	4,0	4,0	4,0
სოციალური უზრუნველყოფა	3 052,4	2 590,3	2 556,4	2 110,6	2 147,1	2 196,5
სხვა ხარჯები	4 012,7	3 603,8	2 649,0	5 786,9	5 528,9	4 810,4
საოპერაციო სალდო	**6 556,4**	**6 486,9**	**3 563,6**	**10 009,6**	**13 744,6**	**14 864,3**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**9 693,9**	**9 113,2**	**2 958,0**	**9 198,5**	**13 338,6**	**14 687,1**
ზრდა	10 966,1	11 613,2	3 758,0	10 898,5	13 938,6	15 187,1
კლება	1 272,2	2 500,0	800,0	1 700,0	600,0	500,0
მთლიანი სალდო	**-3 137,5**	**-2 626,2**	**605,6**	**811,1**	**406,0**	**177,2**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-4 259,1**	**-4 941,6**	**-393,9**	**0,0**	**0,0**	**0,0**
ზრდა	5 084,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	5 084,6	0,0	0,0			
კლება	9 343,7	4 941,6	393,9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	9 343,7	4 941,6	393,9			
ვალდებულებების ცვლილება	**-1 121,6**	**-2 315,3**	**-999,5**	**-811,1**	**-406,0**	**-177,2**
კლება	1 121,6	2 315,3	999,5	811,1	406,0	177,2
საშინაო	1 121,6	2 315,3	999,5	811,1	406,0	177,2
ბალანსი	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

2018-2021 წლების შემოსულობების პროგნოზი

საპროგნოზო გათვლებით 2018-2021 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2018 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 35 584,6 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 34 784,6 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 13 600,0 ათას ლარს გაუტოლდება (მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 2 300,0 ლარის ოდენობით, ხოლო ქონების გადასახადი 11 300,0 ათასი ლარი იქნება), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 15 840,0 ათასი ლარი იქნება (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 389,7 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 14 950,3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 500,0 ათასი ლარი), ხოლო სხვა შემოსავლების წილი 5 344,6 ათასი ლარი.

2018 წლისათვის არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 800,0 ათასი ლარია ნავარაუდევი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები (35 584,6 ათასი ლარი) და სავარაუდოდ დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრები (ნაშთი - 393,9 ათასი ლარი).

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2016-2021 წლებში

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	**19 557,9**	**20 443,0**	**12 973,3**	**23 301,0**	**24 436,0**	**24 516,0**
2	განათლება	**5 946,8**	**7 295,7**	**6 705,9**	**7 100,0**	**8 082,0**	**8 683,0**
3	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	**7 104,0**	**7 113,7**	**5 766,1**	**6 040,0**	**6 720,0**	**6 855,0**
4	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	**3 844,6**	**3 371,9**	**3 383,6**	**2 901,9**	**2 934,4**	**2 988,8**
5	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	**7 510,3**	**7 186,3**	**6 882,5**	**6 936,4**	**6 819,5**	**6 886,1**
6	თავდაცვა	**262,7**	**330,9**	**267,2**	**284,0**	**300,0**	**304,0**

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**12 973,3**	**23 301,0**	**24 436,0**	**24 516,0**
03 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა**	**2 197,6**	**8 528,0**	**7 070,0**	**8 600,0**
03 01 01	გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 197,6	5 394,0	6 960,0	7 500,0
03 01 02	ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა	0,0	3 124,0	75,0	985,0
03 01 03	საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე საინფორმაციო ტაბლოების მოწყობა/რეაბილიტაცია	0,0	10,0	35,0	115,0
03 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**8 526,0**	**10 593,0**	**13 686,0**	**12 306,0**
03 02 01	**საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა**	**2 070,0**	**3 308,0**	**4 590,0**	**3 940,0**
03 02 01 01	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	500,0	800,0	850,0	850,0

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 02 01 03	საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	368,0	1 500,0	750,0
03 02 01 04	ამხანაგობების ხელშეწყობა	1 570,0	2 140,0	2 240,0	2 340,0
03 02 02	**გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**1 000,0**	**1 250,0**	**1 790,0**	**1 725,0**
03 02 03	**ქალაქის ეკოლოგიური დაცვა**	**2 755,0**	**3 050,0**	**3 136,0**	**3 403,0**
03 02 03 01	ქალაქ რუსთავის დასუფთავება	2 755,0	3 000,0	3 050,0	3 150,0
03 02 03 02	გამწვანების ინფრასტრუქტურის მოწყობა/მოწესრიგება	0,0	50,0	86,0	253,0
03 02 04	**წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია**	**61,0**	**335,0**	**1 450,0**	**498,0**
03 02 05	**ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა–პატრონობა**	**2 640,0**	**2 650,0**	**2 720,0**	**2 740,0**
03 03	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	**1 125,7**	**3 580,0**	**3 320,0**	**3 340,0**
03 03 01	სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია	141,6	120,0	1 500,0	1 450,0
03 03 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი	474,1	2 330,0	650,0	750,0
03 03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები	510,0	1 130,0	1 170,0	1 140,0
03 04	**მუნიციპალური ავტოტრანსპორტის დოტაცია**	**544,0**	**550,0**	**300,0**	**200,0**
03 05	**მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა**	**580,0**	**50,0**	**60,0**	**70,0**

1.2. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კმაყოფილი მოსახლეობის %-ული მაჩვენებელი.
- ქუჩებზე საავტომობილო საცობების რაოდენობა.

1.3. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება; სანიაღვრე/საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია; დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა.

1.3.1 საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაზიანებული სახურავების შეკეთება, კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამხანაგობები მოსახლეობის ჩართულობის

პრინციპით განახორციელებენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სახურავებისა და სხვა კომუნალური პირობების მოწესრიგებას.

1.3.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი, ქალაქის ცენტრალურ და შემდგომ შიდაკვარტალურ გზებზე არსებული ნათურები შეიცვლება ეკო-ნათურებით, რაც ქალაქის გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯს 3-ჯერ დაზოგავს.

1.3.3 ქალაქის ეკოლოგიური დაცვა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მნიშვნელოვანია ქალაქის გაუმჯობესებული სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება.

1.3.4 წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამით გაგრძელდება ქალაქის ამორტიზებული სანიაღვრე ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია.

1.3.5 ქალაქის არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პრატონობა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით; ასევე ქალაქის ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა–პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- ცენტრალურ ქუჩებზე შენობების რეაბილიტირებული ფასადები;
- განათებული ქალაქი;
- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამართულისაცხოვრებელი კორპუსებისა და ეზოების მდგომარეობა;
- რეაბილიტირებული ქუჩებისა და ეზოების განათების პროცენტული მაჩვენებელი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან მაქსიმალურად გათავისუფლებული ქალაქი.

1.4 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი შენობების გამაგრების ხარჯები.

1.4.1 სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში იგეგმება სკვერების, მემორიალებისა და ძეგლების მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები.

1.4.2 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება. ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი შენობების გამაგრებითი/აღდგენითი სამუშაოები.

1.4.3 ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დასასვენებელი და გასართობი ადგილების მოწყობა.
- ქალაქში არსებული შენობების იერსახის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოწყობილი/რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა.
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რაოდენობა.

1.5 მუნიციპალური ავტოტრანსპორტის დოტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დოტაციური პრინციპით ფინანსდება შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ რომელიც უზრუნველყოფს შიდასაქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას. ავტობუსების საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის მუნიციპალური ავტოტრანსპორტზე არსებული ბილეთის ფასის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მგზავრთა დადებითი განწყობა იაფი ტრანსპორტით მგზავრობაზე.

1.6 მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულ იქნა ევროკომისიის მიერ შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, სადაც თანადაფინანსების პრინციპით პროექტის ღირებულების 90%-ს დააფინანსებს ევროკომისია, ხოლო 10% წილის ასიგნება ეკუთვნის თვითმმართველობას. პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და ტერიტორიულ ორგანოებში

შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით მათი ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის პრიორიტეტების შედგენისას გამჭვირვალეობის გაზრდას და მათი მოსაზრებების ასახვას ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- პრიორიტეტების შედგენისა და ბიუჯეტის დაგეგმარებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოსახლეობის ჩართულობის %-ული მაჩვენებელი.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
04 00	**განათლება**	**6 705,9**	**7 100,0**	**8 082,0**	**8 683,0**
04 01	**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**	**6 705,9**	**7 100,0**	**8 082,0**	**8 683,0**
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	6 320,2	6 720,0	7 700,0	8 300,0
04 01 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	385,7	380,0	382,0	383,0

2.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 490 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ახალი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად გაუმჯობესდება კვების რაციონი.

2.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220-მდე ბენეფიციარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა.
- სკოლამდელი აღზრდის მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**5 766,1**	**6 040,0**	**6 720,0**	**6 855,0**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**2 471,5**	**2 605,0**	**3 120,0**	**2 925,0**
05 01 01	სასპორტო სკოლების ხელშეწყობა	1 200,0	1 180,0	1 240,0	1 350,0
05 01 02	სპორტული კლუბების ხელშეწყობა	980,0	1 000,0	880,0	750,0
05 01 03	სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	291,5	425,0	1 000,0	825,0
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**2 988,6**	**3 245,0**	**3 400,0**	**3 725,0**
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	1 752,1	1 800,0	1 820,0	1 830,0
05 02 03	თეატრის ხელშეწყობა	737,0	850,0	850,0	850,0
05 02 04	მუზეუმის ხელშეწყობა	179,0	180,0	190,0	200,0
05 02 05	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	292,5	305,0	310,0	315,0
05 02 06	კლუტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია	0,0	80,0	110,0	420,0
05 02 07	კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია	28,0	30,0	120,0	110,0
05 03	**ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამა**	**300,0**	**190,0**	**200,0**	**205,0**
05 04	**რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა**	**6,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

3.1.1 სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300–ზე მეტ სპორტსმენს; ცენტრი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

3.1.2 სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და სარაგბო (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას.

3.1.3 სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა–რეაბილიტაცია და ასევე განხორციელდება ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული რუსთაველი სპორტსმენებით.
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში ადგილობრივი და საქალაქთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რუსთავში მსოფლიო, ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა;
- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1 სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრში არსებულ ადგილობრივ ანსამბლებს 3 მუსიკალურ, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლას, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; ასევე ზემოხსენებული ააიპ–ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას. აღნიშნული ააიპ-ის უმთავრესი მიზანია ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

3.2.2 თეატრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „გ. ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, სპეკტაკლები და წარმოდგენები, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.

3.2.3 მუზეუმის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“–ს დაფინანსებას, რომელიც სისტემატიურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანთა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას; შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პარტიოტული სულისკვეთებით.

3.2.4 ბიბილიოთეკების ხელშექყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 3 ბიბლიოთეკას, სადაც ხდება ბიბილიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

3.2.5 კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რუსთავში არსებული კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3.2.6 კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში ერთ–ერთი დიდი რეკრეაციული ზონის გაუმჯობესება, რაც შექმნის საუკეთესო დასასვენებელ ადგილს მოსახლეობის ნებისმიერი ასაკისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქართული ნიჭიერი შემოქმედების, კულტურის შედევრების წარმოჩინება და პოპულარიზაცია;
- ქალაქში დასასვენებელი და გასართობი ადგილი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიის, საზოგადოების ინტერესისა და ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებლები;
- ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურისა და დასვენების პარკში დამსვენებელთა რაოდენობა.

3.3 ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ახლაგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე მოხდება ახალაგაზრდა (29 წლამდე) რუთაველ (რეგისტრირებული) ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსება (არაუმეტეს 50%) უცხოური გრანტების მოზიდვის შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის გავითარებაში ახალგაზრდობის მეტი ჩართულობა და სამომავლო პერსპექტივების ერთობლივი შემუშავება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობა.
- მომავალი თაობის ინიციატივებით განხორციელებული წარმატებული პროექტების რაოდენობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა

ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3 383,6**	**2 901,9**	**2 934,4**	**2 988,8**
06 01	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**	**243,0**	**243,0**	**242,0**	**243,0**
06 02	**სოციალური პროგრამები**	**3 140,6**	**2 658,9**	**2 692,4**	**2 745,8**
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	940,0	940,0	950,0	980,0
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	5,1	3,6	3,6	3,6
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	120,0	118,0	128,0	140,0
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	342,0	354,0	365,2	376,3
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	515,0	229,5	235,5	241,5
06 02 06	უხუცეს დღეგრძელთა დახმარება	1,5	1,8	2,1	2,4
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	389,4	380,0	380,0	380,0
06 02 08	მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება	200,0	60,0	50,0	40,0
06 02 09	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	264,6	222,0	225,0	227,0
06 02 10	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	24,3	24,3	24,3	24,3
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	201,0	195,0	198,0	200,0
06 02 12	სტუდენტთა სოციალური დახმარება	65,0	60,0	55,0	50,0
06 02 13	სოციალური დახმარებების პროგრამა	30,8	30,8	30,8	30,8
06 02 14	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6,0	0,0	0,0	0,0
06 02 15	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	36,0	40,0	45,0	50,0

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დაავადებათა გავრცელების პრევენცია.
- მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა.
- ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსარგებლეთა რაოდენობა.

4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1 მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობისა და შშმ პირების 1 800 ბენეფიციარის ერთჯერადი ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

4.2.2 სარიტუალო მომსახურებები (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ომში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით.

4.2.3 შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 57 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი ოჯახების სასმელი წყლის გადასახადისაგან გათავისუფლება (ბენეფიციართა რაოდენობა ცვალებადია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით).

4.2.4 შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 150 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (ბენეფიციართა რაოდენობა ცვალებადია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით); ქალაქში მცხოვრები ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (1 500-ზე მეტი ბენეფიციარი); სსიპ–ებისა და სხვადასხვა ა(ა)იპ–ების თანამშრომლების

მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (2 700–ზე მეტი ბენეფიციარი); შშმ პირთა მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (150–ზე მეტი ბენეფიციარი).

4.2.5 ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების (65 ბენეფიციარი), 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში (4 ბენეფიციარი) და 2004 წლის აგვისტოს თვეში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების (3 ბენეფიციარი), საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისა (3 ბენეფიციარი) და ე.წ. მინდობით აღმზრდელი ოჯახების (35 ბენეფიციარი) კომუნალური გადასახადების დაფარვა, თითოეულ ოჯახზე წელიწადში 500 ლარის ოდენობით; ასევე გათვალიწინებულია საოპერაციო მკურნალობების დაფინანსება გეგმიური ქირურგიულ, ონკოლოგიურ და კარდიოქირურგიულ დაავადებებზე, აგრეთვე დაფინანსდება რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევები.

4.2.6 უხუცეს დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარება, თითოეულზე 300 ლარი.

4.2.7 რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების თავშესაფრით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

4.2.8 მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები შშმ პირების, პენსიონერებისა და 0–დან 100 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით დახმარება თითოეულზე არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით.

4.2.9 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 150 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალურ დახმარება, თითოეულ ბავშვზე 30 ლარის ოდენობით (734 ბენეფიციარი).

4.2.10 საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს თვეში ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონაში და სამშვიდობო ოპერაციების დროს დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 500 ლარის ოდენობით (11 ბენეფიციარი);
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 150 ლარის ოდენობით (65 ბენეფიციარი).

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა (20 ბენეფიციარი) ერთჯერადი დახმარება – თითოეულზე 150 ლარი და მათთან გათანაბრებულ პირთა (75 ბენეფიციარი) ერთჯერადი დახმარება – თითოეულზე 80 ლარის ოდენობით.

4.2.11 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტატუსით უსინათლო ბენეფიციარების (145 ბენეფიციარი) კომუნალური ხარჯების დაფარვა (დენი 240 ლარის ფარგლებში და გაზი 240 ლარის ფარგლებში წლიურად), ასევე ფინანსდება აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა (80 ბენეფიციარი) რეაბილიტაციის კურსი წელიწადში ერთჯერადად 600 ლარის ოდენობით. უსინათლოთა დახმარების პროგრამა გამცილებლების მომსახურების კუთხით.

4.2.12 სტუდენტთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული რუსთაველი სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული (დევნილი), შშმ სტუდენტებისა და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების (შემდგომში - "ბენეფიციარი") სოციალური დახმარება წახალისების მიზნით თვეში 50 ლარის ოდენობით. ასევე დაფინანსდება წარჩინებული (შესაბამისი კრიტერიუმები) სტუდენტების სწავლის საფასური თითოეულზე არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით.

4.2.13 სოციალური დახმარებების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ბენეფიციართა სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებითა და ტკბილეულით დასაჩუქრება.

4.2.14 სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მხარდაჭერა და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიცაა: ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა და კომუნალური გადასახადების დაფარვა, ხოლო შშმ პირის შემთხვევაში ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად პერსონალური ასისტენტის სერვისის დაფინანსება.

4.2.15 დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციართა ტრანსპორტის ხარჯის შემცირების მიზნით ყოველთვიური მატერიალური (ფულადი) დახმარება 60 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წარმატებული სოციალური პროექტების რაოდენობა;
- სოციალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

5. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, იურიდიული დახმარებისა და ინფორმაციის დამუშავება/ანალიზის ცენტის ლიკვიდაციის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებას, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის ხარჯებსა და საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშწყობის პროგრამის ხარჯებს. მათ შორის:

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**6 882,5**	**6 936,4**	**6 819,5**	**6 886,1**
01 01	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 201,1	1 296,4	1 404,4	1 476,4
01 02	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	4 221,6	4 318,2	4 572,3	4 824,2
01 03	სარეზერვო ფონდი	150,0	150,0	150,0	150,0
01 04	თვითმმართველობის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	1 112,5	990,9	507,3	244,6
01 04 01	მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ აღებული ვალდებულებების მომსახურება	1 110,5	988,9	505,3	242,6
01 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	2,0	2,0	2,0	2,0
01 05	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	88,2	90,0	95,0	100,0
01 06	რუსთავის იურიდიული დახმარების ცენტრის ხელშეწყობა	11,0	0,0	0,0	0,0
01 07	ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ცენტრის ხელშეწყობა	8,0	0,0	0,0	0,0
01 08	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	50,0	45,0	45,0	45,0
01 09	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	40,0	46,0	45,5	46,0

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ აღებული ვალდებულებების მომსახურება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (კაპიტალური ინვესტიციების დასაფინანსებლად) შესაბამისი გრაფიკის მიხედვით დაფარვის ხარჯები, კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით და ნაგვის გადამზიდი სპეცტექნიკის (სატვირთო მანქანა) შეძენის მიზნით სესხის მომსახურების პროცენტი საშეღავათო პერიოდამდე (2020 წლის ჩათვლით), ხოლო 2021 წლიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „რუსთავის მუნიციპალური არქივის“ დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის (არამარტო) სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული მასალების ტექნიკურ დამუშევება/დაჯგუფებას და აღრიცხვა/შენახვას დაინტერესებულ პირთათვის მომსახურების გაწევის მიზნით.

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ დაფინანსება, რომლის მიზანია რეგიონის მასშტაბით განახორციელოს ქმედითი ნაბიჯები (ბიზნესის

შესაძლებლობების ანალიზი და ბაზრის კვლევა) ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და არსებული მცირე/საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა.

საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შესაბამისი სფეროების მიხედვით სწავლებების დაგეგმარება და მათი გადამზადება, რაც განპირობებულია ახალი სტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური სერვისებისა და საქმიანობების გაუმჯობესების მიზნით.

6. თავდაცვა (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით მოსწავლეთა პირველად აღწერას, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებასა და სამედიცინო შემოწმებას, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზებას.

პროგრამ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
02 00	**თავდაცვა**	**267,2**	**284,0**	**300,0**	**304,0**
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	267,2	284,0	300,0	304,0

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის

მუნიციპალიტეტის მერი